დანართი

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დაფიქსირებული გადაცდომები მედიის წარმომადგენელთა მიმართ.

მასალა მოპოვებულია მედიაკოალიციის, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მომზადებული განცხადებების თუ საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების გადამუშავების შედეგად.

2022 წელი

1. 05.10- ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარემ TV პირველის ჟურნალისტს შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართა.
2. 12.09 - BMG-ის მთავარმა რედაქტორმა, თელარა გელანტიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საქართველოს მთავრობის სხდომის გასაშუქებლად ადმინისტრაციის შენობაში შესვლა აუკრძალეს.
3. 24.08 - ტელეკომპანია „ფორმულას" გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის ფაქტი
4. 25.07- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის სიტყვიერი თავდასხმა ჟურნალისტზე
5. 13.07- გია გაჩეჩილაძის მიერ ტვ იმედისა და მაესტროს ეთერის მეშვეობით „მთავარი არხის“ ჟურნალისტების სავარაუდო ფარული ჩანაწერის გავრცელება
6. 09.07- გორში "ტვ მონიტორინგის" ჟურნალისტი დაკბინეს.
7. 05.07- თავდასხმა „TV მონიტორინგის“ გადამღებ ჯგუფზე.
8. 30.06 - პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი ფიზიკურად გაუსწორდა ტვ პირველის დირექტორს
9. 24.06 - “TV პირველის” ჟურნალისტს და ოპერატორს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ.
10. 23.06 - მამუკა მდინარაძემ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა “TV პირველის” ჟურნალისტს
11. 19. 06 - „TV პირველის” ოპერატორს თავს დაესხნენ და ფიზიკურად გაუსწორდნენ.
12. 16.05- ნიკა გვარამიას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა
13. 10.05 – „TV პირველის” წამყვანებს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებიან.
14. 08.04 – პრემიერის რეგიონული ტურნეს ფარგლებში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ არ იყო ინფორმირებული, inter alia, „TV პირველი“, „მთავარი არხი“ და „ფორმულა“.
15. 19.03- „TV პირველის“ ჟურნალისტი საქართველოს პარლამენტის შენობაში არ შეუშვეს
16. 18.03- ფიზიკურად თავს დაესხნენ „მთავარი არხის“ კორესპონდენტსა და მის ოპერატორს.
17. 17.03- ფიზიკურად თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ფორმულას” გადამღებ ჯგუფს.

18. 02.03- თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები
19. 18.02 - კასპის საკრებულოში მედიასაშუალების ჟურნალისტსა და ოპერატორს პოლიციელები ფიზიკურად გაუსწორდნენ.
20. 08.02- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში ოპოზიციონერი დეპუტატების ბრიფინგის გასაშუქებლად მედიის წარმომადგენლები არ შეუშვეს.

2021 წელი

1. 24.12- აქციის მონაწილეებმა ჟურნალისტი ალყაში მოაქციეს, ასევე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. 20.12 - ჟურნალისტები აცხადებენ რომ პოლიციის განყოფილებაში ცემეს
3. 17.12- კასპის საკრებულოს სხდომაზე არ შეუშვეს ტელეკომპანიების, „მთავარი არხის", „TV პირველისა" და „ფორმულას" გადამღები ჯგუფები.
4. 29.11- „კავკასიის" ოპერატორმა აქციის გადაღებისას გონება დაკარგა. მისი თქმით, ცუდად მას შემდეგ გახდა, როცა, სავარაუდოდ, თვალებში წიწაკის გაზი შეასხეს.
5. 22.11- საქართველოს კულტურის მინისტრის მიერ დაგეგმილ ბრიფინგზე ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებები არ მიიწვიეს და დასწრება მხოლოდ მედიის ნაწილისთვის იყო შესაძლებელი.
6. 11.11- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დაგეგმილ ბრიფინგზე ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგენლები არ მიიწვიეს და დასწრება მხოლოდ მედიის ნაწილისთვის იყო შესაძლებელი.
7. 29.09 - მარნეულში პროფესიული მოვალეობის შესრულების თავს დაესხნენ ჟურნალისტებს. შედეგად, ფიზიკური დაზიანებები მიიღო ორმა ჟურნალისტმა და ორმა ოპერატორმა. ტელეკომპანიების ინფორმაციით დაზიანდა ტექნიკაც.
1. 28.09 - ჟურნალისტს „ქართული ოცნების" მხარდამჭერებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.
2. 19.09 - ბათუმში უკანონოდ აშენებული 7 კორპუსის საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტზე იძალადეს
3. 15.09 - „ქართული ოცნების" შტაბში მომხდარი თავდასხმის შედეგად ჟურნალისტს მოტეხილი აქვს მენჯ-ბარძაყი და ნეკნი, დაზიანებული აქვს ხელი და აღენიშნება დაბეჟილობები.
4. 13.09 - მოსმენები: 55 ჟურნალისტი ადასტურებს, რომ სუს-ის ფაილებში არსებული ინფორმაცია ნამდვილია
5. 07.09 - სამუშაო პროცესის დროს TV პირველის ჟურნალისტებს მანქანა დააჯახეს.
6. 28.08 - სამების ტაძრის ეზოში საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკა დააზიანეს
7. 28.08 - ერთ-ერთი მონასტრის ბერმა „ფორმულას" ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენა. „ფორმულას" ინფორმაციით, ის მონასტერთან უკანონო მშენებლობას იღებდა.

8. 26.08 - სიუჟეტის მოსამზადებლად მისულ ტელეკომპანია „მეგა ტვ"-ს და რადიო „ძველი ქალაქის“ ჟურნალისტებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რესპონდენტმა, რომელიც ქუთაისის მერიის თანამშრომელია.
9. 02.08 - მოსმენები: ნაწილი პირველი
10. 23.07 - წულუკიანმა ემა გოგოხიას მიკროფონი წაართვა.
11. 22.07 - საპატრიარქომ მედიასაშუალებების წინააღმდეგ განცხადება გაავრცელა. მან „მთავარი არხის“, „ტვ პირველისა“ და „ფორმულას“ ჟურნალისტებს დისკრედიტაციაში დასდო ბრალი და მოუწოდა სასულიერო პირებს, სურვილის შემთხვევაში შეეწყვიტათ მათთან კომუნიკაცია.
12. 11.07 - ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა.
13. 05.07 - აქციის გაშუქებისას 16 მედიასაშუალების 53 ჟურნალისტი დაშავდა
14. 03.07 - TV პირველის გადამღებ ჯგუფს სოფელ ფონიჭალაში თავს დაესხნენ და ქვები დაუშინეს.
15. 30.06- წალკაში „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფს თავს დაესხნენ
16. 27.05- ჟურნალისტმა ნაზი რეხვიაშვილმა განაცხადა, რომ ხულოს საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან“ მუქარის შემცველი შეტყობინებები გაუგზავნა.
17. 17.05 - დმანისში, ფიზიკურად გაუსწორდნენ საქართველოს პირველი არხის გადამღებ ჯგუფს – ჟურნალისტს, ოპერატორსა და ფოტორეპორტიორს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას.
18. 07.05 - ჟურნალისტ ირაკლი ვაჩიბერაძეს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.
19. 05.05 - სოფელ უდაბნოში ჟურნალისტებს თავს დაესხნენ: "წადით, თორემ თავებს დაგაჭრით"
20. 04.05 - ივერი მელაშვილს, მთავარი არხის ჟურნალისტს და ოპერატორს, დავით გარეჯში თავს დაესხნენ
21. 11.04 - მედიას შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა მიმდინარე საპროცესო აქციის გასაშუქებლად ნამახვანში შესვლის და მუშაობის უფლება არ მისცეს.
22. 09.04- ფორმულა ორი ინციდენტი. დააზიანეს ტელევიზიის მძღოლის ავტომობილი, რომელზეც მაუწყებლის ლოგო იყო განთავსებული. ნაცემია ასევე „ფორმულას“ მძღოლი, რომელსაც ფიზიკური დაზიანებები აღენიშნება.
23. 05.04 – „ქუთაისი თუდეის“ რედაქტორს მერიის დაცვის თანამშრომლებმა მას ფიზიკური დაზიანება მიაყენეს, შემდგომ კი პოლიციამ იძულების წესით მერიიდან გაიყვანა.
24. 24.03 - კულტურის სამინისტროში წულუკიანის ბრიფინგზე მედიის ნაწილი არ შეუშვეს

25. 08.03-ჭყონდიდში მხარეებს შორის დაპირისპირების გაშუქებისას 10-მდე პირი, მათ შორის, მედიის წარმომადგენლები რამდენიმე მეტრის სიმაღლის აივნიდან ჩაცვივდნენ და დაშავდნენ.
26. 06.03- ჟურნალისტს მესტიის მერმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. მოგვიანებით კი, გადამღებ ჯგუფს მანქანის საბურავები დაზიანებული დახვდა.
27. 03.03 - რადიო „მარნეულის“ ჟურნალისტს აქციის გაშუქებისას, ტელეფონი წაართვეს და ვიდეო გადაღება აუკრძალეს.
28. 25.02 - ვახო სანაიას თავს დაესხნენ
29. 16.02 - მედიაჰოლდინგ "კვირას" გადამღებ ჯგუფს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი პირები დაესხნენ თავს და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი შეუშალეს.
30. 09.02- „მთავარი არხის“ ჟურნალისტი მარიამ გეგუჩაძე პარლამენტში არ შეუშვეს.
31. 02.02- პარლამენტის სხდომაზე თეა წულუკიანმა ნიკა გვარამიას მობილური ნომერი საჯაროდ გამოაცხადა.
32. 16.01 - სამართალდამცავებმა საპროტესტო აქციის გაშუქებისას პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალეს ონლაინგამოცემა "on.ge-ს" ჟურნალისტს ხატია ღოღობერიძეს.

2021 არჩევნები, მეორე ტური

33. თბილისში, გლდანის ერთ-ერთ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ტელეკომპანია „პირველის” ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
34. მარტვილში, 31-ე საარჩევნო უბანზე ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტს, ნინო ჩაკვეტაძეს უცხო პირი კითხვების დასმის დროს ფიზიკურად დაუპირისპირდა;
35. ტელეკომპანია „პირველის” გადამღებ ჯგუფს რუსთავში საარჩევნო უბანთან მყოფმა პირმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა;
36. ქარელის მუნიციპალიტეტში, მე-2 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შენობაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" დამკვირვებელი „ტვ მონიტორინგის” ჟურნალისტს თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.
37. ზუგდიდში საარჩევნო უბანთან „ქართული ოცნების” კოორდინატორები ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტს სიტყვიერად და ფიზიკურად დაუპირისპირდნენ;
38. ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტ ნინო ჩაკვეტაძეს, მარტვილში მე-2 საარჩევნო უბანზე თავს დაესხნენ;
39. ტელეკომპანია „პირველის” ინფორმაციით, „ქართული ოცნების” მხარდამჭერმა მათ ჟურნალისტს მიკროფონი წაართვა;

40. „TV მედია ცენტრის” ჟურნალისტის გიგა გელხვიძის ინფორმაციით, ქუთაისში მე-14 საარჩევნო უბანზე მას სიტყვიერად და ფიზიკურადდაუპირისპირდნენ;
41. ტელეკომპანია „ფორმულას” ინფორმაციით, ქუთაისში მათ გადამღებ ჯგუფს აგრესიულად განწყობილი პირები დაუპირისპირდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
42. ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის შენობაში ტელეკომპანია „პირველის”ჟურნალისტს საარჩევნო უბნის წარმომადგენელი სიტყვიერად დაუპირისპირდა;
43. ტელეკომპანია „პირველის” ინფორმაციით „ქართული ოცნების” აგრესიულად განწყობილმა დამკვირვებელმა მათ ჟურნალისტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;
44. ბათუმში, ერთ-ერთ უბანზე TV 25-ის გადამღები ჯგუფისთვის კამერის დაზიანება სცადეს და ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელი შეუშალეს;
45. ასევე, ბათუმში, ჟურნალისტ თეო ფუტკარაძეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს;
46. ქუთაისში, მე-15 უბანზე On.ge-ის ჟურნალისტს აგრესიულად განწყობილმა პირმა მუშაობაში ხელი შეუშალა, მისი ტექნიკის დაზიანება სცადა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;
47. გონიოში ტელეკომპანია „ფორმულას” და „მთავარი არხის" გადამღებ ჯგუფებს თავს დაესხნენ და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს;
48. ფოთში „ქართული ოცნების" აგრესიულად განწყობილი აქტივისტები „მთავარი არხის" ჟურნალისტს თავს დაესხნენ და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
49. მესხეთში ტელეკომპანია „ფორმულას” ჟურნალისტს ქვა ესროლეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს;
50. „გურიანიუსის" ინფორმაციით, სენაკის პირველი საარჩევნო უბნიდან მათი ჟურნალისტი გამოაძევეს, რომელიც უბანზე დაპირისპირების კადრებს იღებდა.
51. "მთავარი არხის ჟურნალისტ ემა გოგოხიას სენაკის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე დაუპირისპირდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.

2021 წლის არჩევნების პირველი ტური:

52. ზუგდიდში, ერთ-ერთი საარჩევნო უბანზე უცხო პირი „ფორმულას” ჟურნალისტს, სალომე ჩადუნელს ელექტრომოკით დაემუქრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელისშეშლის მუხლით დაიწყო.

53. ბათუმში, „TV პირველის“ ჟურნალისტის თამთა დოლენჯაშვილის ინფორმაციით, ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან, „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა მაუწყებლის აპარატურა სამარშუტო ტაქსიში ჩაკეტეს.
54. გონიოში საარჩევნო უბანზე „მთავარი არხის" ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენეს.
55. ვანის საკრებულოს წევრმა „ქართული ოცნებიდან” სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტებს.
56. მედიაგამოცემა „ბათუმელების" ჟურნალისტს ხელი შეუშალესპროფესიული საქმიანობის შესრულების დროს ბათუმის 64-ე უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე.
57. „თქვენ ხართ გვარამიას წიწილა“ - მოქალაქე ჟურნალისტებს სიტყვიერად დაუპირისპირდა.
58. ქარელში ტელეკომპანია„პირველის” ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.
59. ბიძინა ივანიშვილის ხმის მიცემის დროს საარჩევნო უბანზე ოპერატორი გადაღების დროს წაიქცა.
60. სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „ტვ პირველის" ჟურნალისტს, გიორგი ხუხიას საარჩევნო უბანთან პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს.
61. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში „ტვ პირველის” გადამღებ ჯგუფს სავარაუდოდ „ქართული ოცნების” აქტივისტი თავს დაესხა და კამერადაუმტვრია. ტელეკომპანიის ინფორმაციით, დაზიანებულია სამაუწყებლო კომპანიის კუთვნილი ტექნიკა.
62. პროფესიული საქმიანობის შესრულებისას TV 25-ის ჟურნალისტს თეო ფუტკარაძეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.
63. ტელეკომპანია „პირველის” ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფამიაყენეს.
64. მედიაგამოცემა „ბათუმელების" ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. მედიასაშუალების ინფორმაციით, აგრესიულად განწყობილი პირები ჟურნალისტს მუქარით პასუხობდნენ. „მოგხედავთ”, „ვიმახსოვრებთ სახელებს” - ეუბნებოდნენ ისინი ჟურნალისტს.
65. გლდანში, 47-ე უბანზე ამომრჩეველმა, ონლაინგამოცემა „პუბლიკას" ჟურნალისტს მინდია გაბაძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.
66. ჩუღურეთში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „მთავარი არხის” გადამღებ ჯგუფს.
67. „რადიო მარნეულის" ინფორმაციით, ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მათ ჟურნალისტს გადაღებაში ხელი შეუშალეს.

2020 წელი

1. 12.12- გვარამიას დაჭერით და ქონების ჩამორთმევით დაემუქრნენ.
2. 08.11- ცესკოსთან მიმდინარე აქციაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოყენებული არაპროპორციული ძალის შედეგად, სხეულის დაზიუანება მიიღო 4-მა ჟურნალისტმა. დაშავდნენ სხვა რეპორტიორებიც, დაზიანდა მათი კუთვნილი

ტექნიკაც. აქციის დაშლისას წყლის ჭავლს დამიზნებით უშენდნენ მედიის წარმომადგენლებს.

3. 7.11 - TV პირველის კორესპონდენტს ცესკოს მიმდებარე ტერიტორიაზე პირდაპირ ეთერში დაესხნენ თავს.
4. 31.10 - მარნეულის სოფელ აზიზ ქენდიში #14 უბანზე მყოფ ჟურნალისტს „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელმა მუშაობაში ხელი შეუშალა და აჩვენა, რომ შეიარაღებულია.
5. 30.10 - ონლაინ გამოცემა „Publika.ge“-ს ჟურნალისტს თავს დაესხა მამაკაცი გლდანის საარჩევნო უბანზე. დაზიანდა ჟურნალისტიც და მისი კამერაც. დაზიანდა "TV პირველის" ჟურნალისტიც.
6. 21.10- ტვ პირველის” მფლობელის და დამფუძნებლის მამა,ავთანდილ წერეთელი ამბობს, რომ მას ტვ პირველის სარედაქციო პოლიტიკის გამო დაემუქრნენ. “თუ არ გაჩერდება შენი ტელევიზია, მოგივლითო“.
7. 29.09- „მთავარი არხის“ და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებს და ოპერატორებს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა 2020 წლის 29 სექტემბერს, საღამოს, მარნეულში, როდესაც ისინი აშუქებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას.
8. 14.09 - ახალქალაქის მერი დაემუქრა ონლაინ გამოცემა „სამხრეთის კარიბჭეს“ ჟურნალისტს, რომ დაუმტვრევდა კამერას თუ არ წაშლიდა მის ფოტოს, რომელიც გადაღებული იყო ეკლესიაში ქადაგების დროს. მუქარას თან ახლდა ლანძღვა- გინებაც.
9. 26.06 - (სუს) მიერ გავრცელებული ინფორმაციით ტელეკომპანია “მთავარის” ეთერში გასულ ერთ-ერთ სიუჟეტზე დაწყებულია გამოძიება.
10. 12.06 - ჩატარებული სპეცოპერაციისას დაკავებული რუსეთის მოქალაქე ტელეკომპანია „მთავარი არხის” ჟურნალისტის, გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციას გეგმავდა.
11. 18.04 - სასულიერო პირი მრევლს ჟურნალისტის გაკოჭვისა, ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისაკენ მოუწოდებს.
12. 20.03 - ტელეკომპანიების "TV პირველისა" და "მთავარი არხის" ანგარიშებზე, საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო, შემოსავლების სამსახურმა საინკასო დავალება წარადგინა.
13. 30.01 - ნიკა გვარამიას რამდენიმე პირი თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში თავს დაესხა და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

2019 წელი

1. 26.12 - ტელეკომპანიების, TV პირველის, რუსთავი 2-ის, კავკასიის, ასევე რამდენიმე რეგიონული არხის ანგარიშებზე, საბიუჯეტო დავალიანების გადაუხდელობის გამო, შემოსავლების სამსახურმა საინკასო დავალება წარადგინა.
2. 12.12 - უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეების დამტკიცების საკითხის განიხილვისას, მედიის წარმომადგენლების ნაწილი ძალის გამოყენებით გამოაძევეს კომიტეტის სხდომათა დარბაზიდან.
3. 29.11 - ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამართულ აქციაზე სამართალდამცავების მხრიდან ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ზეწოლისა და ხელშეშლის ფაქტები.
4. 21. 11 – ზემო ფონიჭალაში, სიუჟეტის მოსამზადებლად მისულ ტელეკომპანია "იმედის" გადამღებ ჯგუფს ეკლესიიდან განკვეთილი ნარიმან მაქარაშვილის (ბერი ნიკოლოზი) მიმდევრების ნაწილი ფიზიკურად გაუსწორდა.
5. 22.10 - ტვ 25-ის საინფორმაციო სამსახურის უფროსის სულხან მესხიძის და ჟურნალისტის, ეკა ბარამიძის მიმართ მუქარა.
6. 18.09- გია ვოლსკის აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტს აკრედიტაციის შეჩერებით ემუქრება
7. 09.09- "გურიის მოამბის" რედაქტორმა, თეა იოსელიანმა განაცხადა, რომ მას სოციალური ქსელში უცნობი პირი შვილების მოკვლით დაემუქრა.
8. 16.08 – სოფელ გუგუტიანთკარში ონლაინ მედიის წარმომადგენლებს მუშაობის საშუალება არ მიეცათ.
9. 13.08 – „ტელეკომპანია პირველის" ცნობით, არხზე განხორციელდა კიბერშეტევა.
10. 21.06- აქციის დარბევის დროს დაშავდნენ მედიის წარმომადგენლები (40 მდე). მათი თქმით, სამართალდამცავები დამიზნებით ესროდნენ მაშინაც კი, როდესაც თვალსაჩინო იყო, რომ ისინი მედიის წარმომადგენლები იყვნენ და პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ.
11. 10.06 – გამოცემა qartli.ge-ს ჟურნალისტს სამართლდამცავებმა პროფესიულ საქმიანობაში ხელი შეუშალეს. ჟურნალისტს იმ ავტოავარიის გაშუქება სურდა, რომელშიც სავარაუდოდ სამართალდამცავების მანქანა მონაწილეობდა.
12. 14.05 - ზუგდიდში "ქართული ოცნების" წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ სანდრა რულოვს. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს გადამღებ ჯგუფს.
13. 08.04 – ჰერეთის ჟურნალისტ დავით ჭაბაშვილს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში საკრებულოს აპარატის უფროსმა გიორგი მესხიშვილმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

25.01 - „რუსთავი 2"-ის ჟურნალისტის - დავით ერაძის საცხოვრებელ სახლს ესროლეს.